საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ანტიკორუფციული პოლიტიკა

შინაარსი

შესავალი 1
კორუფციის განმარტება 2
მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა 2
აკრძალული პრაქტიკა 2
მოსყიდვა და ანაზღაურება 2
საჩუქრები 3
შეტყობინება საეჭვო კორუფციის შესახებ 3
დისციპლინური ღონისძიებები 3
თანამშრომელთა ინფორმირებულობა 3
დასკვნა 4

შესავალი

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია პროფესიული ასოციაციაა, რომლის მიზანია ქვეყანაში საოჯახო მედიცინის სპეციალობისა და პროფესიის განვითარებისთვის ხელშეწყობა და ოჯახის ექიმთა პროფესიული კომპეტენციის სრულყოფაზე, მათ პროფესიულ განვითარებასა და უწყვეტ განათლებაზე ზრუნვა.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ხელმძღვანელია ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ასოციაციის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, რომელი შემადგენლობაში შედის ასოციაციის თავმჯდომარე, ასოციაციის გამგეობის მინიმუმ 1 წევრი, პროექტების მმართველი და ასოციაციის მინიმუმ 2 წევრი.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა პროექტის ფარგლებში ხდება პროექტისათვის საჭირო პირების დაქირავება კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად და ამ პირთა ნუსხა ცვლადია პროექტის მიზნების შესაბამისად. შესაძლებელია, ასოციაციის მიერ დაქირავებული იქნეს პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი. პროექტების მმართველის მიერ ასოციაციის პროექტების

განმახორციელებელ ჯგუფთან ხდება პროექტის დაქირავებულ პირთა წარდგენა და შესაბამისობის დასაბუთება, გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია მოწოდებულია წარმართოს თავისი საქმიანობა ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით და დაიცვას მთლიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უმაღლესი სტანდარტები მის ყველა საქმიანობაში. როგორც არაკომერციული ორგანიზაცია, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ თავიდან ავიცილოთ კორუფცია მისი ყველა ფორმით და შევინარჩუნოთ ჩვენი პარტნიორების ნდობა.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის მმართველი რგოლის, თანამშრომლებისა და მოხალისეთა ქცევას კორუფციასთან დაკავშირებით.

კორუფციის განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, კორუფცია განიმარტება, როგორც ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც წარმოადგენს დანაშაულს მოქმედი ანტიკორუფციული კანონმდებლობით, მათ შორის, მექრთამეობით, გამოძალვით, თაღლითობით, ფულის გათეთრებით და უფლებამოსილების გადამეტებით.

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ყველა წევრის, თუ პროექტის ფარგლებში დაქირავებული პერსონალის ქცევა და საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ანტიკორუფციულ კანონებსა და რეგულაციებს. შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის შრომითი ხელშეკრულების ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

აკრძალული პრაქტიკა

მოსყიდვა და ანაზღაურება

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია კრძალავს ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიმართ ან ქრთამის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, ნაღდი თუ უნაღდო სახით.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის არც ერთმა წევრმა ან პროექტის ფარგლებში დაქირავებულმა პირმა არ უნდა განახორციელოს ან უფლება მისცეს სხვებს, განახორციელონ ნაღდი ან უნაღდო გადახდა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლისთვის მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად პროექტის ან გრანტის მისაღებად, ასევე, პროექტის ან გრანტის, ან სხვა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას დასკვნის, შეფასების, ან აუდიტის შედეგის ასოციაციისთვის სასიკეთოდ შესაცვლელად.

საჩუქრები

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია აღიარებს, რომ საჩუქრების გაცვლა ჩვეულებრივი ბიზნეს პრაქტიკაა; თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ თავიდან იქნეს აცილებული სიტუაციები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ან საჩუქრის ქრთამთან მიახლოება. მიღებული ან გაცემული ყველა საჩუქრის და გასართობი ღონისძიების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს. 100 ლარზე მეტი ღირებულების საჩუქრის გაცემის ან მიღების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული და დოკუმენტირებული უნდა იქნეს საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფის მინიმუმ 5 წევრის მონაწილეობით და ხმათა უმრავლესობით.

შეტყობინება საეჭვო კორუფციის შესახებ

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ყველა წევრი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს კორუფციის ნებისმიერი საეჭვო ან დაფიქსირებული შემთხვევის შესახებ ასოციაციის მმართველობას. შეტყობინებების გაგზავნა უნდა მოხდეს საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარესთან და გამგეობის ერთ-ერთ წევრთან ელექტრონული ფოსტით (guram.kiknadze@yahoo.com და gjavashvili@tsmu.edu). კონფიდენციალურობის დაცვა მოხდება კანონით ნებადართულ ფარგლებში.

დისციპლინური ღონისძიებები

წინამდებარე ანტიკორუფციული პოლიტიკის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რაც შეიძლება მოიცავდეს წევრობის ან სამუშაო ხელშეკრულების შეწყვეტას ან მოხალისის სტატუსის გაუქმებას. საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია იტოვებს უფლებას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სამართლებრივი ქმედებები.

თანამშრომელთა ინფორმირებულობა

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია უზრუნველყოფს ასოციაციის წევრებისათვის ამ დოკუმენტის გაცნობას, რათა თითოეულმა წევრმა გაიგოს და დაიცვას ანტიკორუფციული პოლიტიკა. ასოციაციის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტულ პროექტში დასაქმებული პირები შეიძლება არ იყვნენ ასოციაციის წევრები, თუმცა საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის პროექტში ჩართვისას ყველა ახალ პირს უნდა გაეცნოს ასოციაციის ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტი და განემარტოს მისი შინაარსი და შეტყობინების გზები.

დასკვნა

წინამდებარე ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ვალდებულებას, შეინარჩუნოს გამჭვირვალობის, სამართლიანობის, პატიოსნებისა და ასოციაციის სხვა ფასეულობებისადმი ერთგულება და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტები. ამ პრინციპების დაცვით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ჩვენი ორგანიზაციის და ფართო არაკომერციული სექტორის სანდოობის განმტკიცებას და მათდამი საზოგადოების ნდობის ზრდას.

თარიღი: 30/05/2022

რევიზიის თარიღი 30/04/2024

გურამ კიკნაძე

ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

30 მაისი, 2022 წელი